მეხუთე წაგება

ალმა–ათა. ცენტრალური სტადიონი. 2 ივნისი.

“ყაირათი” (ალმა–ათა) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

“ყაირათი”: ორდაბაევი, კრუგლიხინი, ჟუიკოვი, ბაიშკოვი, ასილბაევი, იგამბერდიევი, მარკინი (არხირეევი), ლიხოშერსტნიხი (ერკოვიჩი), ჩებოტარიოვი, როჟკოვი, პიუნოვსკი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი (მჭედლიშვილი), გუცაევი, რეხვიაშვილი, წერეთელი (გ. მაჩაიძე).

მსაჯი: ი. კაჩარი (კიევი).

დუბლიორები – 1:0 “ყაირათის” სასარგებლოდ.

ზედმეტია ლაპარაკი მატჩის მნიშვნელობაზე, რომლის მონაწილენიც ახლო მეზობლობაში იყვნენ ცხრილის შუაგულში. მისი მოგების შემთხვევაში ერთ–ერთი გუნდი მჭიდროდ უახლოვდებოდა ლიდერებს.

მასპინძლებმა ბოლო ორ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ სრული მონდომებით, ძლიერად ითამაშეს. ისინი უფრო აქტიურნი იყვნენ, მეტ სწრაფვას იჩენდნენ გამარჯვებისადმი და უაღრესად საჭირო 2 ქულაც მათ ერგოთ.

გოლი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, გატანილი იქნა მე–14 წუთზე. როჟკოვმა მარჯვენა მხრიდან ჩააწოდა საჯარიმო ბურთი ცენტრში, აქ იგი მოხვდა თბილისელთა ერთ–ერთ მცველს, მოუვიდა პიუნოვსკის და ამ უკანასკნელმა ზუსტად დაარტყა მიზანში – 1:0.

დინამოელებს ტაიმის დასასრულამდე შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მათი თავდამსხმელები ვერ იყენებდნენ ხელსაყრელ მომენტებს. ამის გარდა, კარგად ითამაშა ორდაბაევმა, რომელმაც შეძლო რამდენიმე ძნელი ბურთის აღება.

მეორე ტაიმმა თბილისელებს ვერ მოუტანა წარმატება. ალმაათელები ენერგიულად იბრძოდნენ გამარჯვების შესანარჩუნებლად და მიაღწიეს კიდეც მიზანს. თბილისის “დინამომ” მიმდინარე ჩემპიონატში მეხუთედ დატოვა მინდორი დამარცხებულმა.

“ლელო”, 3 ივნისი, 1973 წ.